სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

# მებრძოლი

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი

Красноармейская газета Закавказского фронта „Боец РККА" на грузинском языке

№ 23 (283) | ოთხშაბათი, 21 თებერვალი. | 1945 წ.

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას, განმათავისუფლებელ არმიას, რომელმაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან და ანადგურებს ჰიტლერელთა ჯარებს გერმანიის ტერიტორიაზე!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან წითელი არმიის XXVII წლისთავისათვის.

# მ ო წ ო დ ე ბ ა ნ ი

## საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა წითელი არმიის XXVII წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას, განმათავისუფლებელ არმიას, რომელმაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან და ანადგურებს ჰიტლერელთა ჯარებს გერმანიის ტერიტორიაზე!

2. გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს, მის წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებმაც ღირსეულად დაიცვეს სამშობლო გერმანელი ფაშისტი იმპერიალისტებისაგან!

3. გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა კავშირს, რომელმაც ევროპის ცივილიზაცია იხსნა ფაშისტ დამრბევთაგან!

4. სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გმირულად იბრძვიან საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა შვილები! გაუმარჯოს წითელ არმიას — სსრ კავშირის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის არმიას!

5. დავსაჯოთ გერმანელი ფაშისტი მტარვალები ჩვენი ქალაქებისა და სოფლების გაძარცვისა და დანგრევისათვის, ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალადობისათვის, საბჭოთა ადამიანების დახოცვისა და გერმანულ მონობაში წაყვანისათვის! შურისგება და სიკვდილი ფაშისტ ავაზაკებს!

6. გაუმარჯოს ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის საბრძოლო კავშირის გამარჯვებას გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე! გამანადგურებელი დარტყმები მივაყენოთ ფაშისტურ გერმანიას აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან! აღვგავოთ პირისაგან მიწისა გერმანიის იმპერიალიზმი! უზრუნველვყოთ მტკიცე მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის!

7. სალამი დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მამაც ჯარებს, რომლებიც შეტევას აწარმოებენ ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში!

სალამი მამაც ინგლისელ და ამერიკელ მეზღვაურებს, რომლებიც ფაშისტი მეკობრეების წინააღმდეგ იბრძვიან!

8. სალამი საფრანგეთის ხალხს და მის ჯარებს, რომლებიც იბრძვიან ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ დასავლეთში!

დიდება „ნორმანდიის" მამაც მფრინავებს, რომლებიც საბჭოთა მფრინავების მხარდამხარ ანადგურებენ გერმანელ ფაშისტ ბარბაროსებს!

9. სალამი გერმანელი დამპყრობლების უღლისაგან განთავისუფლებულ მოძმე პოლონელ ხალხს! გაუმარჯოს პოლონეთის მამაც ჯარს, რომელიც წითელ არმიასთან ერთად იბრძვის თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობას!

10. სალამი მოძმე იუგოსლაველ ხალხს! გაუმარჯოს იუგოსლავიის გმირ სახალხო განმათავისუფლებელ არმიას, რომელიც ამთავრებს თავისი სამშობლოს განთავისუფლებას გერმანელ დამპყრობელთაგან!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობას!

11. სალამი მოძმე ჩეხოსლოვაკიელ ხალხს, რომელიც იბრძვის ფაშისტი მტარვალების წინააღმდეგ! გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის კორპუსის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომლებიც წითელ არმიასთან ერთად იბრძვიან გერმანელ მჩაგვრელთა წინააღმდეგ!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობას!

12. ძმებო—სლავებო! მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ გერმანელი დამპყრობლების — სლავთა მოსისხლე მტრების საბოლოო განადგურებას! გაუმარჯოს გერმანელი ფაშისტი ავაზაკების მოსასპობად მებრძოლ სლავ ხალხთა საბრძოლო კავშირს!

13. სალამი ევროპის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან გერმანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ!

14. წითელი არმიის მეომრებო! თქვენ მიგელიან, როგორც განმათავისუფლებლებს, მილიონობით საბჭოთა ადამიანები, რომლებიც გერმანულ კატორღაში იტანჯებიან. გავათავისუფლოთ ფაშისტური ტყვეობიდან ჩვენი ძმები და დები!

15. წითელი არმიის მეომრებო! გამანადგურებლად ურტყით გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს! არ მისცეთ მტერს სულის მოთქმის საშუალება! ურტყით მას დაუნდობლად, საბჭოთა იარაღის მთელი ძალით! წინ, დასავლეთისაკენ!

16. წითელი არმიის ქვეითებო! თამამად და გაბედულად დასძლიეთ მტრის თავდაცვა, განუწყვეტლივ სდევნეთ და ანადგურეთ ფაშისტთა ჯარები, არ მისცეთ მათ ახალ ზღუდეებზე გამაგრების საშუალება!

გაუმარჯოს საბჭოთა ქვეითებს!

17. წითელი არმიის არტილერისტებო და ნაღმმტყორცნელებო! მძლავრი და მარჯვე ცეცხლითი დარტყმებით ანადგურეთ მოწინააღმდეგის თავდაცვა, მოსპეთ მტრის ცოცხალი ძალა და საბრძოლო ტექნიკა!

გაუმარჯოს საბჭოთა არტილერიას!

18. წითელი არმიის ტანკისტებო! სავსებით გამოიყენეთ ჩვენი ტანკების მაღალი საბრძოლო თვისებები, მუსრეთ მტერი და კვალდაკვალ სდიეთ მას!

გაუმარჯოს საბჭოთა ტანკისტებს!

19. საბჭოთა მფრინავებო — ჩვენი სამშობლოს შევარდნებო! ჰაერიდან მძლავრი დარტყმებით ანადგურეთ მოწინააღმდეგის ჯარები და საბრძოლო ტექნიკა, ანგრიეთ მისი კომუნიკაციები, გზა გაუკაფეთ ჩვენს შემტევ ჯარებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მფრინავებს!

20. წითელი არმიის კავალერისტებო! სწრაფად სდევნეთ მტრის ჯარები, გულადად შეიჭერით მოწინააღმდეგის რიგებში, შემოუარეთ მის ფლანგებს, გარს შემოერტყით და მოსპეთ გერმანელი ფაშისტი ქვეწარმავლები!

გაუმარჯოს საბჭოთა ცხენოსნებს!

21. სამხედრო-საზღვაო ფლოტის წითელფლოტელებო და ოფიცრებო! უფრო ძლიერად ურტყით მტრის საზღვაო კომუნიკაციებს! ჩასძირეთ მოწინააღმდეგის ხომალდები და ტრანსპორტები, გასწმინდეთ ზღვის სივრცეები ფაშისტური სიბილწისაგან!

გაუმარჯოს საბჭოთა მეზღვაურებს!

22. წითელი არმიის მეკავშირეებო! გახსოვდეთ, რომ კავშირგაბმულობა წითელი არმიის ნერვია, ბრძოლის მართვისა და ყველა გვარეობის ჯარების თანამოქმედების უმნიშვნელოვანესი პირობაა! ყოველმხრივ აუმჯობესეთ კავშირგაბმულობის საქმე!

გაუმარჯოს საბჭოთა მეკავშირეებს!

23. წითელი არმიის მზვერავებო! გახსოვდეთ, რომ დაზვერვა არმიის თვალი და ყურია. გაბედულად შეაღწიეთ მოწინააღმდეგის განლაგებაში! დროზე გამოამჟღავნეთ მისი ვარაუდები და ზრახვები! დაეხმარეთ ჩვენს შემტევ ჯარებს მტრის აუცდენლად განადგურებაში!

გაუმარჯოს საბჭოთა მზვერავებს!

24. გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან მესაზღვრეებს, საბჭოთა საზღვრების ერთგულ დამცველთ!

25. საინჟინრო ჯარების მებრძოლებო და ოფიცრებო! დაეხმარეთ ჩვენს ჯარებს წარმატებით მიიტანონ იერიში მტრის სიმაგრეებზე, მოსპონ მისი დასაყრდენი პუნქტები, გადალახონ მდინარეები, დასძლიონ დანაღმული ველები, განავითარონ შეტევის წარმატებანი.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან მესანგრეებს, მენაღმეებსა და პონტონერებს!

26. წითელი არმიის სამედიცინო მუშაკებო! თავდადებულად იბრძოლეთ დაჭრილი საბჭოთა მეომრების სიცოცხლის გადარჩენისა და მწყობრში მათი დაბრუნებისათვის!

გაუმარჯოს წითელი არმიის სამედიცინო მუშაკებს!

27. საჯარისო ზურგის მუშაკებო! წითელი არმიის ავტომობილისტებო და გზის მუშაკებო! დროულად მიაწოდეთ წითელ არმიას საბრძოლო ტექნიკა, საომარი მასალა, საჭურველი და სურსათი!

გაუმარჯოს საჯარისო ზურგის მუშაკებს! გაუმარჯოს წითელი არმიის ავტომობილისტებსა და გზის მუშაკებს!

28. წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გვარდიელებო! ღირსეულად ატარეთ წინ სახელოვანი გვარდიული დროშები. იყავით მამაცობისა და გულადობის, მხედრული ოსტატობის, შეტევაში სისწრაფისა და შემართების მაგალითი!

გაუმარჯოს საბჭოთა გვარდიას!

29. დიდება საბჭოთა ჯარებს, რომლებმაც დაამარცხეს მტრის არმიები აღმოსავლეთ პრუსიაში და ანადგურებენ გერმანელებს ბერლინის მისადგომებზე!

30. დიდება საბჭოთა ჯარებს, რომლებმაც შემუსრეს გერმანელთა თავდაცვა სილეზიაში და ავითარებენ შეტევას მდინარე ოდერს გაღმა!

31. დიდება წითელი არმიის მებრძოლებსა და ოფიცრებს, რომლებიც ურტყამენ მტერს კარპატის მთების ზოლში და გერმანელებისაგან ათავისუფლებენ ჩვენს მეგობრულ ჩეხოსლოვაკიას!

32. დიდება ჩვენს ჯარებს, რომლებმაც გაანადგურეს გერმანელ ფაშისტთა ჯარები უნგრეთში და მოსპეს მტრის დაჯგუფება ბუდაპეშტის რაიონში!

33. დიდება საბჭოთა კავშირის გმირებს და სოციალისტური შრომის გმირებს — ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს!

34. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ფრონტელთა ოჯახებისათვის ზრუნვა ყველა საბჭოთა პატრიოტის წმიდა მოვალეობაა. საყოველთაო ყურადღებითა და ზრუნვით მოვეპყრათ სამშობლოს განმათავისუფლებელთა ოჯახებს!

(დასასრული მე-2 გვ.)

# მოწოდებანი

## საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა წითელი არმიის XXVII წლისთავისათვის

(დასასრული)

35. საყოველთაო სამხედრო სწავლება განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს საბრძოლო ძლიერებას. საბჭოთა პატრიოტებო! გულმოდგინედისწავლეთ სამხედრო საქმე, ემზადეთ იმისათვის, რომ სამშობლოს უნარიანი და მამაცი დამცველები გახდეთ!

36. მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! დაუცხრომლად იმუშავეთ ფრონტის დასახმარებლად! აძლიეთ წითელ არმიას სულ უფრო და უფრო მეტი ტანკი, თვითმფრინავი, ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევი, ავტომატი, საომარი მასალა! აუმჯობესეთ საბრძოლო მანქანების ხარისხი!

37. საბჭოთა რკინიგზელებო, რკინიგზის ჯარების მებრძოლებო და ოფიცრებო! თავდადებული და ზუსტი მუშაობით უზრუნველყავით წითელი არმიის წარმატებანი! უფრო სწრაფად აღადგინეთ გერმანელთა მიერ დანგრეული რკინიგზის ლიანდაგები და ნაგებობანი!

38. კოლმეურნეებო, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების მუშებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ მომზადებითა და წარმატებით ჩატარებით უზრუნველყოთ უხვი მოსავალი 1945 წელს! მიეცით ფრონტს და ჩვენს ქვეყანას მეტი სურსათი და ნედლეული!

39. საბჭოთა ინტელიგენციავ! ინჟინრებო და ტექნიკოსებო, მასწავლებლებო, აგრონომებო, ექიმებო, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებო! საბჭოთა საწარმოებისა და დაწესებულებების მოხამსახურეებო! დაეხმარეთ მუშებსა და კოლმეურნეებს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში! წინ წაზწიეთ საბჭოთა მეცნიერება, ტექნიკა, კულტურა!

40. საბჭოთა ქალებო! დაეუფლეთ საწარმოოს სპეციალობებს, გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება, შეისწავლეთ საჰაერო და ქიმიური თავდაცვის საქმე, სანიტარული საქმე, კავშირგაბმულობა! მთელი ძალები მოახმარეთ გერმანელ დამპყრობთა განადგურებას, სახალხო მეურნეობის აღმავლობას!

გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს!

41. საბჭოთა ჭაბუკებო და ქალიშვილებო! თავდადებით იშრომეთ ფრონტის დასახმარებლად, დაეუფლეთ წარმოების ტექნიკას, გვიჩვენეთ შრომის დისციპლინის ნიმუშები, დაუღალავად შეისწავლეთ სამხედრო საქმე!

გაუმარჯოს საბჭოთა ახალგაზრდობას!

42. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში!

43. გაუმარჯოს დიად საბჭოთა კავშირს — ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის, ბედნიერებისა და დიდების სიმედო დასაყრდენს! გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს!

44. გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას, ლენინ-სტალინის პარტიას — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

45. ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ, ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურებისათვის, ჩვენი სამართლიანი საქმის სრული გამარჯვებისათვის!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 20 თებერვლის ოპერატიული ცნობიდან

20 თებერვლის განმავლობაში ზემლანდის ნახევარკუნძულზე ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის და ტანკების იერიშებს, მოწინააღმდეგისა, რომელიც დიდი ზარალის მიუხედავად, ცდილობს გაიჭრას კენიგსბერგიდან დასავლეთისაკენ პილაუს მიმართულებით. ამავე დროს კენიგსბერგის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარებიავიწროებდნენ გერმანელთა აღმოსავლეთ პრუსიის დაჯგუფების გარემოცვის რკალს და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ალგაინლაუკი, ნემრიტენი, კანდიტენი, ზუტინფელდი, აიხოლცი, პოლაუ, ბაუდინი, პაკაუზენი, ბორხერტსდორფი. 19 თებერვლის განმავლობაში კენიგსბერგის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში ბრძოლების დროს დაზიანებულია და ჩოხბოჩილია გერმანელთა 20 ტანკი და ტყვედ წაჩოყვანილია მოწინააღმდეგის 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

დანციგის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ შეტევას ვისლის დასავლეთ ნაპირის გასწვრივ, ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები მიუნსტერვალდე, ჰალბდორფი, ლიალკაუ, იაზერსკი, კასპარუსი, ლინოვეცი, გროს შლივიცი, ჰაგენორტი, შლიახტა, ქალაქ ბრუძიანძში (ბრაუდენცში) გრძელდებოდა ბრძოლები მოწინააღმდეგის გარშემორტყმული გარნიზონის მოსასპობად.

ბრანდენბურგის პროვინციაში ჩვენმა ჯარებმა შეტევითი ბრძოლების შედეგად დაიკავეს ქალაქები გროსენი, ბოგერსბერგი, ხრისტიანშტადტი, აგრეთვე 80-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ალტ რეიელდი, ნოიენდორფი, ლინდენაიმი, შეველნი, დაუბე, ლაუზნიცი, გურკაუ, მარსდორფი, ბურაუ. 19 თებერვალს ამ რაიონში ტყვედ ჩავიგდეთ 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბრესლაუს რაიონში გრძელდებოდა ბრძოლები ქალაქში გარშემორტყმული მოწინააღმდეგის დაჯგუფების მოსასპობად.

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ქალაქ ლუჩენეცის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც მთიან-ტყიან ადგილის ძნელ პირობებში მოქმედებენ კარპატის მთების ზოლში, ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები სკლიაროვო, დუბრავი, დეტვა, კრივანი, დრუგაიოვცი, სტარა გუტა, ჩერვენა.

დუნაის ჩრდილოეთ ნაპირზე, ქალაქ კომარნოს აღმოსავლეთით, ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშები. 19 თებერვლის ბრძოლებში ამ რაიონში დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 60 ტანკი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

19 თებერვალს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 200 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 109 თვითმფრინავი.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## უმაღლესი მთავარსარდლისა

დღეს, 20 თებერვალს, 17 საათზე საბჭოთა ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში (ვილნოში) შესდგება დაკრძალვა არმიის გენერალ ი. დ. ჩერნიახოვსკისა, რომელიც ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებს სარდლობდა.

საბჭოთა კავშირის არმია და ფლოტი თავიანთ საბრძოლო დროშებს ხრიან ჩერნიახოვსკის კუბოს წინაშე და პატივს სცემენ წითელი არმიის ერთ-ერთ საუკეთესო სარდალს.

ვბრძანებ:

არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის დაკრძალვისას უკანასკნელი მხედრული პატივი მიეგოს განსვენებულს და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში მიცემულ იქნას სალუტი ას ოცდაათხი ქვემეხის ოცდაათხი საარტილერიო ზალპით.

**უმაღლესი მთავარსარდალი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1945 წლის 20 თებერვალი.

# ი. დ. ჩერნიახოვსკი

აღმოსავლეთ პრუსიაში ბრძოლის ველზე მიღებული მძიმე ჭრილობის შემდეგ გარდაიცვალა არმიის გენერალი ივანე დანიელის-ძე ჩერნიახოვსკი.

მთელი საბჭოთა ხალხი ამხანაგ ჩერნიახოვსკის იცნობს, როგორც სამამულო ომის გმირსა და წითელი არმიის გამოჩენილ მხედართმთავარს.



18 წლის ასაკიდან ამხ. ჩერნიახოვსკი განუწყვეტლივ მოღვაწეობს წითელი არმიის რიგებში; მან გაიარა გზა ოცეულის მეთაურიდან დივიზიისა და კორპუსის მეთაურამდე წითელი არმიის საარტილერიო, სატანკო და მსროლელ ჯარებში. 1942 წელს ამხ. ჩერნიახოვსკი დაინიშნა არმიის სარდლის თანამდებობაზე, ხოლო 1944 წელს—ფრონტის ჯარების სარდლად.

სამამულო ომის წლებში მისი საბრძოლო გზა, როგორც არმიის სარდლისა და ფრონტის სარდლისა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის უაღრესად აქტიურ უბნებზე აღნიშნულია ძლევამოსილი შეტევით ვორონეჟიდან ტარნოპოლამდე და ორშიდან კენიგსბერგამდე.

ამხ. ჩერნიახოვსკის სახელი აღნიშნულია უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბევრ ბრძანებაში წითელი არმიის საბრძოლო მოქმედების მსვლელობაში.

საბჭოთა მთავრობამ არაერთგზის დააჯილდოვა ამხ. ჩერნიახოვსკი უმაღლესი ჯილდოებით: ორგზის მიანიჭა მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, დააჯილდოვა წითელი დროშის ოთხი ორდენით, ბოგდან ხმელნიცკის I ხარისხის ორდენით, კუტუზოვის I ხარისხის ორდენითა და სუვოროვის I ხარისხის ორი ორდენით.

ამხ. ჩერნიახოვსკი სამამულო ომში დაწინაურდა თავისი სახელოვანი საქმეებით საბჭოთა სამშობლოს გამარჯვებისათვის ბრძოლაში და საბჭოთა ხალხისა და მთელი წითელი არმიის ღრმა პატივისცემა მოიხვეჭა.

ლენინ-სტალინის პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგულმა ამხ. ჩერნიახოვსკიმ მთლიანად და ბოლომდე შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე წითელ არმიასა და საბჭოთა სამშობლოს.

საქმე, რომლისთვისაც ძლევამოსილად იბრძოდა არმიის გენერალი ამხ. ჩერნიახოვსკი, მარად იცოცხლებს.

ჟუკოვი, ვასილევსკი, ვოროშილოვი, ტიმოშენკო, ბუდიონი, შაპოშნიკოვი, ბულგანინი, მერეცკოვი, ანტონოვი, გოვოროვი, ბაგრამიანი, მაკაროვი, ხოხლოვი, როკოსოვსკი, კონევი, პეტროვი, მალინოვსკი, ტოლბუხინი, ვორონოვი, ხრულევი, იაკოვლევი, ფედორენკო, ნოვიკოვი, ვოროზეიკინი, შტემენკო, ფ. კუზნეცოვი, გოლიკოვი, სმოროდინოვი, პოკროვსკი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

## ფრონტზე დაღუპულ არმიის გენერალ ივანე დანიელის-ძე ჩერნიახოვსკის ოჯახის უზრუნველყოფის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. მიეცეს ერთდროული დახმარება 125 ათასი მანეთის რაოდენობით ამხ. ი. დ. ჩერნიახოვსკის ოჯახს, რომელიც შესდგება ცოლის ანასტასია გრიგოლის-ასულ ჩერნიახოვსკაიას, ქალიშვილის ნეონილასა და ვაჟის ოლეგისაგან.

2. დაენიშნოს პერსონალური პენსია ამხ. ი. დ. ჩერნიახოვსკის ოჯახს შემდეგი ოდენობით: ცოლს ა. გ. ჩერნიახოვსკაიას—ორი ათასი მანეთი თვეში სიცოცხლის განმავლობაში, ქალიშვილს ნეონილეს და ვაჟს ოლეგს — ათას-ათასი მანეთი თვიურად მათ მიერ სწავლის დამთავრებამდე.

# სტალინი — დიდი მხედართმთავარი, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე წითელი არმიის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია

მაიორი ნ. სიმონენკო

დიდი სამამულო ომის მეოთხე წელი ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელოვანი წელია ჩვენი ხალხის ისტორიაში. წითელმა არმიამ შეუპოვარ, გააფთრებულ ბრძოლაში გერმანელ-ფაშისტი დამპყრობლები განდევნა საბჭოთა მიწა-წყლის ფარგლებიდან. საბოლოოდ ლიკვიდირებულია ჰიტლერელი მტარვალების მიერ საბჭოთა კავშირის ხალხების დამონების საშიშროება.

თავგზააბნეული პირსისხლიანი მტერი ღებულობს ღირსეულ საზღაურს. წითელი არმია ანადგურებს ჰიტლერელთა ურდოებს გერმანიის ტერიტორიაზე და, ასრულებს რა თავის დიად განმათავისუფლებელ მისიას, ეხმარება ევროპის ხალხებს მოიშორონ გერმანელ დამპყრობელთა საზიზღარი უღელი. ამსხვრევს რა თავის გზაზე ყოველგვარ დაბრკოლებას, წითელი არმია აახლოებს მტერზე სრული გამარჯვების ჟამს.

როგორ შესძლო ჩვენმა სახელმწიფომ, წითელმა არმიამ აეტანა ომის ყველა განსაცდელი და არა მარტო გამკლავებოდა მტრის მძლავრ მოძალეობას, რომლის დარტყმებსაც ვერ გაუძლო ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობამ, არამედ შეექმნა კიდეც ყველა პირობა ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურებისათვის?

ამ დიად გამარჯვებათა წყაროს წარმოადგენს დიდი ოქტომბრის რევოლუციის მიერ შობილი ჩვენი საბჭოთა სოციალისტური წყობილება. ეს გრანდიოზული წარმატებები მოპოვებულია მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის, ხალხთა მეგობრობის, როგორც მისი ურყევი საფუძვლის, ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის, მთელი საბჭოთა ხალხის თავდადებისა და გმირობის, წითელი არმიის მამაცობისა და მაღალი ოსტატობის შედეგად. წითელმა არმიამ ეს ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა, პირველყოვლისა, იმიტომ, რომ მისი ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი არის დიდი სტალინი.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომში წითელი არმიის საბრძოლო მოქმედების ყველა მხარეს აზის ამხანაგ სტალინის მხედართმთავრული გენიის ბეჭედი. ჩვენი უმაღლესი მთავარსარდალი უშუალოდ ახორციელებს ხელმძღვანელობას ყველა სამხედრო ოპერაციაზე, დაწყებული მათი მომზადების, დამუშავებისა და გეგმის შედგენიდან, დამთავრებული ჯარების მომარაგებისა და დაჭრილთა ევაკუაციაზე ზრუნვით.

მთელი სამამულო ომის მანძილზე დიდი სტალინი მისთვის ჩვეული გენიალობით თავის დროზე ამხელდა და ამსხვრევდა ჰიტლერელ მესვეურთა ყველაზე ცბიერ და ვერაგულ სტრატეგიულ გეგმებს და ჩანაფიქრებს, რაზმავდა საბჭოთა ხალხს, წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

სამშობლოსათვის კრიტიკულ დღეებში, როცა ჰიტლერელთა ურდოები, რომლებმაც გამოიყენეს ძალთა უპირატესობა და თავდასხმის უეცრობა, მიუხედავად წითელი არმიის შეუპოვარი წინააღმდეგობისა, წინ მიიწევდნენ ქვეყნის სიღრმეში, დემოკრატიული ქვეყნების მრავალმა სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწემ დაკარგა რწმენა წითელი არმიისადმი, იწინასწარმეტყველა მისი დაღუპვა. ამხანაგმა სტალინმა, მეცნიერების დიდმა კორიფემ, ხელმძღვანელობდა რა ყველაზე უფრო მოწინავე მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ძალთა თანაფარდობის ღრმა ანალიზის საფუძველზე მთელ მსოფლიოს მეცნიერულად დაუსაბუთა და დაუმტკიცა, რომ ჰიტლერული გერმანია აუცილებლად დამარცხდებოდა და იგი ისევე განადგურებული იქნებოდა, როგორც განადგურდნენ ნაპოლეონისა და ვილჰელმის ჯარები, რომ ომის მსვლელობაში მტრის ძალები ამოიწურებოდნენ, ხოლო წითელი არმია გაიზრდებოდა და განმტკიცდებოდა.

1941 წლის 3 ივლისს თავის ისტორიულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა ამცნო საბჭოთა ხალხს და წითელ არმიას მტრის განადგურების გენიალური გეგმა. დიდმა სტალინმა გამოააშკარავა რა ჰიტლერელთა ხროვის დამპყრობლური და დამმონებლური მიზნები და გეგმები, აღნიშნა რა მთელი სიღრმე იმ საშიშროებისა, რომელიც ჩვენს სამშობლოს ემუქრებოდა, საბჭოთა ხალხისაგან მოითხოვა შეეგნო ვითარება, რომელშიც იმყოფებოდა სამშობლო, უკუეგდო უდარდელობა და უზრუნველობა, მშვიდობიანი დროის განწყობილება, გადაეწყო მთელი მუშაობა სამხედრო ყაიდაზე, მთელი საქმიანობა დაექვემდებარებინა ფრონტის ინტერესებისათვის, უზრუნველეყო წითელი არმია ყველა აუცილებლით გამარჯვებისათვის.

გერმანელთა სარდლობის „ელვისებური“ ომის სტრატეგიას ომის პირველ ეტაპზე ამხანაგმა სტალინმა დაუპირისპირა აქტიური თავდაცვა, რაც ნაკარნახევი იყო იმისათვის, რომ ბრძოლებში ძალებით მოექანცა, სისხლისაგან დაეცალა მტერი, გაენადგურებინა მისი არმიის ძირითადი კადრები, ამავე დროს კი ქვეყნის სიღრმეში განუწყვეტლივ მოემზადებინა სტრატეგიული რეზერვები, რათა გადამწყვეტ მომენტში ყველა ეს რეზერვი აემოქმედებინა, შეეცვალა ომის საერთო მსვლელობა თავის სასარგებლოდ და შეექმნა წინაპირობა მტრის სრული განადგურებისათვის.

ამხანაგმა სტალინმა მსოფლიოს დაანახვა თანამედროვე ომის ახალი სტრატეგია ძალების მხრივ უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგესთან პირისპირ ბრძოლის პირობებში. მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად ხალხის მთელი ძალების მობილიზაციის სტალინური პროგრამა აღაფრთოვანებდა და რაზმავდა საბჭოთა ადამიანებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლისათვის.

საბჭოთა სამშობლოს დაცვის იდეამ, ჩვენი საქმის სამართლიანობამ, დიდი სამამულო ომის განმათავისუფლებელმა ხასიათმა წარმოშვეს საბჭოთა ადამიანების ისეთი მასობრივი გმირობა, ისეთი სიმტკიცე, მამაცობა, თავდადება, რომლებმაც საშუალება მოგვცეს არა მარტო გავმკლავებოდით მტრის მოძალებას, არამედ მიგვეყენებინა მისთვის გამანადგურებელი დამარცხება.

ახორციელებდა რა აქტიური თავდაცვის სტალინურ გეგმას, წითელმა არმიამ უკვე ომის პირველ წელს მოსკოვთან ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა გერმანელ ფაშისტთა ჯარები. ეს იყო გერმანელთა პირველი დამარცხება მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში. აქ პირველად გამოაშკარავდა ელვისებური ომის გერმანული სტრატეგიის უსუსურობა და ღრმა, მეცნიერული, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი განვითარების კანონებზე დაფუძნებული სტალინური სტრატეგიის უპირატესობა.

მოსკოვთან დიდ ბრძოლაში წითელი არმიის გამარჯვებები შეიქნა ბრძნული სტალინური ოპერატიული ხელმძღვანელობის ზეიმი. გადამწყვეტ დღეებში ამხანაგი სტალინი პირადად ხელმძღვანელობდა ბრძოლების მსვლელობას. თავის წერილში „არც ერთი წუთით არ მიეცეთ სულისმოთქმის საშუალება უკანდახეულ მტერს“, იმ დროს გენერალ-ლეიტენანტი, ახლა საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. როკოსოვსკი სწერდა:

„ეს იყო კრიტიკულ დღეებში, როცა ჩვენ ვიხევდით მტრის ჭარბი ძალების მოწოლით. მოულოდნელად გამომიძახეს ტელეფონთან. მე გავიგონე: „ლაპარაკობს სტალინი. მომახსენეთ ვითარება“. დაწვრილებით, ვცდილობდი რა არ გამომრჩენოდა არც ერთი წვრილმანი, მე დავუხასიათე მდგომარეობა ფრონტის ჩვენს უბანზე. პასუხად გაისმა მშვიდი ხმა: „იდექით მედგრად, ჩვენ დაგეხმარებით.“

სწორედ მეორე დღეს ჩვენ ვიგრძენით ამ სიტყვების მთელი რეალური მნიშვნელობა. სტალინის მიერ მიღებულმა ზომებმა საშუალება მოგვცეს შეგვეწყვიტა უკან დახევა და, საბოლოო ანგარიშში, გადავსულიყავით კონტრშეტევაზე“. („კრასნაია ზვეზდა“, 1941 წ. 19 დეკემბერი).

მოსკოვთან გერმანელების განადგურების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ძალთა თანაფარდობა ჩვენს სასარგებლოდ. მოწინააღმდეგეს უკვე აღარ შეეძლო მთელს ფრონტზე შემოტევა. 1942 წელს იგი ეწეოდა აქტიურ ოპერაციებს მხოლოდ რუსეთის სამხრეთში. მაგრამ გერმანელთა ზაფხულის შემოტევის ტაქტიკური წარმატებები დაუმთავრებელნი აღმოჩნდნენ მათი სტრატეგიული გეგმების აშკარა არარეალობისა და ავანტიურისტულობის გამო.

წითელმა არმიამ სტალინგრადთან გაანადგურა და მოსპო გერმანელთა ძირითადი დამრტყმელი დაჯგუფება, გაჟლიტა მისი საუკეთესო კადრები.

სტალინგრადი სტალინური სტრატეგიის დიდი გამარჯვებაა. სტალინურმა გენიამ სტალინგრადთან მკვეთრად შეაბრუნა მეორე მსოფლიო ომის მთელი მსვლელობა, დაიწყო საბჭოთა იარაღის განუწყვეტელი გამარჯვებისა და დიდების ეპოქა.

სტალინგრადთან ბრძოლა გერმანელ ფაშისტთა არმიის აღსასრულს მოასწავებდა. კურსკთან ბრძოლამ განამტკიცა ძირითადი გარდატეხა ჩვენს სასარგებლოდ და საბოლოოდ დაასამარა ჰიტლერის შეტევითი სტრატეგია. „ომების ისტორიისათვის, — ამბობს ამხ. შჩერბაკოვი, — უცნობია ისეთი მაგალითები, როცა ომის მიმდინარეობა, რომელიც დასაწყისში ერთი მხარისათვის ესოდენ არახელსაყრელი იყო, ასეთი ოსტატობით ყოფილიყოს გარდატეხილი, ხოლო არმიას, რომელსაც სამხედრო გენიოსის მტკიცე ხელი წარმართავდა, ასეთი გამარჯვებები მოეპოვებინოს“.

ბრძნულმა სტალინურმა სტრატეგიამ სამამულო ომის პირველ ეტაპზე მიგვეყვანა გერმანელთა დროებითი უპირატესობის ლიკვიდაციამდე, უზრუნველყო საჭირო ძალთა მომზადება აქტიური თავდაცვიდან მტრის მთლიანად განადგურების მიზნით შეტევაზე გადასასვლელად. ამხანაგმა სტალინმა თავის დროზე გამოიცნო ახალი გეგმები გერმანელებისა, რომლებიც იმედს ამყარებდნენ თავდაცვასა და ომის ყოველმხრივ გაჭიანურებაზე. წითელმა არმიამ გაანადგურა აგრეთვე გერმანელთა თავდაცვითი სტრატეგიაც.

ბრძენი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით წითელმა არმიამ განვლო გამარჯვების გზა მოსკოვის შორეული მისადგომებიდან მდინარე ოდერამდე, სტალინგრადიდან ბუდაპეშტამდე. შეტევის მსვლელობაში საბჭოთა მეომრებმა დაამსხვრიეს გერმანელთა მრავალრიცხოვანი მძლავრი გამაგრებული ზღუდეები, მოიგეს ბრძოლები დნეპრისათვის, ვისლისა და ოდერისათვის, გაანადგურეს ჰიტლერული გერმანიის ძირითადი ძალები, ძირი გამოუთხარეს მის სამხედრო ძლიერებას.

წითელი არმიის ეს გამარჯვებები მოპოვებულია ომის მუდმივად მოქმედი ფაქტორების გაშლის მეოხებით, რომლებმაც წინასწარ განსაზღვრეს, რომ ძალთა უპირატესობა წითელი არმიის მხარეზე აღმოჩნდა. სტალინური მოძღვრება მუდმივად მოქმედი ფაქტორების შესახებ გახდა მტერზე ჩვენი გამარჯვების თეორიულ დასაბუთებად. სტალინის ეს მოძღვრება, რომელმაც ცხადჰყო ომის მსვლელობის კანონზომიერება, გახდა დიდი მამობილიზებელი ძალა და შეიქნა ომის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემდგომი განვითარება.

ამხანაგი სტალინი, ანალიზს უკეთებდა რა ომის მსვლელობას 1942 წელში, მიუთითებდა: „ახლა ომის ბედს გადაწყვეტს არა ისეთი მეორეხარისხოვანი მომენტი, როგორიცაა უეცრობის მომენტი, არამედ მუდმივ მოქმედი ფაქტორები: ზურგის სიმტკიცე, არმიის მორალური სულისკვეთება, დივიზიების რაოდენობა და ხარისხი, არმიის შეიარაღება, არმიის უფროსთა შემადგენლობის ორგანიზატორული ნიჭი“.

მსოფლიოს არც ერთ არმიას არა ჰქონია ისეთი მტკიცე ზურგი, როგორც წითელ არმიას. ჩვენი სამშობლოს მშრომელებმა, რომელთაც აღაფრთოვანებს და ხელმძღვანელობს ამხანაგი სტალინი, მოიპოვეს არნახული წარმატებები ფრონტისადმი დახმარების საქმეში, საკმაო რაოდენობით ამარაგებენ წითელ არმიას თანამედროვე შეიარაღებით, საომარი მასალით, სურსათით, ყველა აუცილებლით მტერზე გამარჯვებისათვის.

სამამულო ომის მსვლელობაში განუზომლად განმტკიცდა წითელი არმიის მორალური სულისკვეთებაც. სამამულო ომის დიადი და კეთილშობილური მიზანი, წარმატებები ფრონტსა და ზურგში აღაფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს სულ უფრო ახალ და ახალ საბრძოლო და შრომითი გმირობისათვის. ისინი მტერზე გამარჯვებისათვის არავითარ მსხვერპლს არ ერიდებიან.

(დასასრული მე 4 გვ.)

# სტალინი — დიდი მხედართმთავარი. გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე წითელი არმიის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია

(დასასრული)

წითელ არმიას გააჩნია მსოფლიოში საუკეთესო შეიარაღება ხარისხისა და რაოდენობის მხრივ. ეს მიღწეულია სტალინის ორგანიზატორული გენიის მეოხებით, რომელმაც უზრუნველჰყო ჩვენს ქვეყანაში მძლავრი სამხედრო-ეკონომიური და სამხედრო-ტექნიკური ბაზის შექმნა. ამხანაგ სტალინის დიდი დამსახურება მდგომარეობს იმაშიც, რომ მან სწორად განსაზღვრა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა შენების ამოცანები.

ჯერ კიდევ ომამდე დიდი ხნით ადრე სტალინმა გაითვალისწინა ჯარების ისეთი გვარეობის მნიშვნელობა, როგორიცაა არტილერია. „ომის წარმატებისათვის, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — ჯარების განსაკუთრებულად ძვირფას გვარეობას წარმოადგენს არტილერია".

თუ მრავალი სახელმწიფო, მათ შორის გერმანიაც, ვერ აფასებდნენ ჯარების ამ გვარეობას, ჩვენში, სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით არტილერიამ მიიღო თავისი ნამდვილი განვითარება, როგორც ორგანიზაციული ფორმებისა, ისე საქვემეხო ტექნიკის მხრივ.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა შექმნა მძლავრი საარტილერიო მრეწველობა, რომელმაც საკმაო რაოდენობით უზრუნველჰყო წითელი არმია პირველხარისხოვანი არტილერიით.

სამამულო ომმა დაადასტურა სტალინური წინასწარხედვის გენიალობა. არტილერიის დახმარებით გადაწყვეტილ იქნა მოწინააღმდეგის მძლავრი თავდაცვის გარღვევის პრობლემა და უზრუნველყოფილია შეტევითი ოპერაციების მაღალი ტემპები. არტილერია გახდა ომის ნამდვილი ღმერთი, წითელი არმიის მთავარი დამრტყმელი ძალა.

ამხანაგმა სტალინმა ჯეროვნად შეაფასა ტანკების როლი თანამედროვე ომში. ამხანაგ სტალინის ზრუნვისა და საბჭოთა ტანკმშენებლების თავდადებული შრომის შედეგად მრეწველობამ იწყო ტანკების ისეთი რაოდენობით გამოშვება, რომელმაც უზრუნველყო მტერზე უპირატესობა, როგორც ტანკების რაოდენობის, ისე ხარისხის მხრივ.

ამხანაგ სტალინის უშუალო მეთაურობით შექმნილ იქნა მძლავრი ავიამრეწველობა, რომელიც საკმაო რაოდენობით ამარაგებს წითელ არმიას საუცხოო თვითმფრინავებით.

ომის მსვლელობაში წითელი არმია გამოიწრთო და განმტკიცდა, გახდა კადრის არმიად, შეიძინა მდიდარი საბრძოლო გამოცდილება.

ამხანაგ სტალინს ეკუთვნის პირველხარისხოვანი როლი კვალიფიციურ მეთაურთა კადრების შექმნის საქმეში. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მთელს მანძილზე ამხანაგი სტალინი სისტემატურად უდიდეს ყურადღებას აქცევს ნიჭიერ საბჭოთა ოფიცრებისა და გენერლების აღზრდას. დაუღალავად ავითარებს და წინ მიჰყავს რა სამხედრო მეცნიერება, ის წითელი არმიის მთელი პირადი შემადგენლობისაგან და პირველ რიგში ოფიცრებისა და გენერლებისაგან გამუდმებით მოითხოვს სამხედრო ცოდნის შემდგომ სრულყოფას, საბრძოლო გამოცდილების შესწავლას, საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტისადმი შემოქმედებით, ინიციატივიან მიდგომას.

ომის მსვლელობაში ამხანაგი სტალინი განუწყვეტლივ იძლევა კონკრეტულ მითითებებს, რომლებითაც ხელმძღვანელობენ მეთაურები თავიანთ მოქმედებაში. თავის მოგონებებში ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ი. პეტროვი 1942 წელს სწერდა:

„...შეტევის დაწყების წინ გამომიძახა ამხანაგმა სტალინმა. ლაპარაკი ეხებოდა იმას, თუ როგორ უზრუნველგვეყო ჰაერიდან მოსკოვის ჩრდილოეთით გერმანელთა გამაგრებული ზოლის გარღვევა ჩვენი ჯარების მიერ. გაიხსენა რა გასული წლის ზაფხულის გუდერიანის ჯგუფის განადგურების ოპერაცია, ამხანაგმა სტალინმა მითხრა: „გახსოვთ ბრიანსკი? ახლა უნდა ვიმოქმედოთ იმგვარადვე. მტერი რომ გავანადგუროთ, უნდა ვურტყათ მას განუწყვეტლივ, დღისითა და ღამით, ტალღა ტალღაზე, არ მივცეთ მას გონზე მოსვლის საშუალება, ვანადგუროთ მისი დასაყრდენი პუნქტები, მოვუსპოთ მას შესაძლებლობა მოიყვანოს რეზერვები. მთელი ჩვენი საბრძოლო მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს სახმელეთო ჯარებთან მჭიდრო თანამოქმედებაში".

გენერალ-პოლკოვნიკი ო. გოროდოვიკოვი თავის მოგონებებში სწერს: „ჯერ კიდევ ომის დასაწყისში მე გამომიძახა ამხანაგმა სტალინმა: „გახსოვთ, — მითხრა მან, — როგორ დადიოდით რეიდში 1920 წელს კახოვკაზე?" — მე მივუგე, რომ კარგად მახსოვს. ლაპარაკი შეეხებოდა ცხენოსანი არმიის ლაშქრობას ჩრდილო ტავრიაში, ვრანგელის ზურგში. — ასე, — განაგრძობდა ამხანაგი სტალინი, — ახლა უნდა მოვაწყოთ ცხენოსანთა ჯგუფები და გავიჭრათ ზურგში, ზურგიდან ვურტყათ გერმანელებს. ამხანაგმა სტალინმა მომცა დაწვრილებითი მითითებები, თუ როგორ ვიმოქმედოთ, რა ამოცანები გადავწყვიტოთ მტრის ზურგში მიმავალ საკავალერიო ნაწილებს". („კრასნაია ზვეზდა", 1942 წ. 22 თებერვალი).

ამხანაგ სტალინის ზრუნვის შედეგად ჩვენ გვყავს აგრეთვე წითელი არმიის ხელმძღვანელი კადრები, რომლებითაც ამაყობს საბჭოთა ხალხი. ომმა გვიჩვენა წითელი არმიის სტრატეგიისა და ტაქტიკის უდაო უპირატესობა გერმანელთა ჯარების ავანტიურისტულ სტრატეგიაზე და შაბლონურ ტაქტიკაზე.

სტალინური სტრატეგიისა და ტაქტიკის დიადი ძალა მდგომარეობს იმაში, რომ ის ითვალისწინებს გადამწყვეტ დარტყმას იმ მიმართულებით, სადაც დარტყმა იძლევა მაქსიმალურ შედეგს. მტრის ძალების გასანადგურებლად იქმნებიან მძლავრი დამრტყმელი დაჯგუფებანი მტრისათვის დიდმნიშვნელოვან და ყველაზე უფრო საშიშარ მიმართულებებზე. სტალინური მოძღვრების შესაბამისად მტრისადმი დარტყმა მიყენებული უნდა იქნას უეცრად, მანევრთან მჭარებული ცეცხლის შეხამებით. ამხანაგი სტალინი გვასწავლის დავამსხვრიოთ მოწინააღმდეგის თავდაცვა მთელ სიღრმეზე, განუწყვეტლივ ვდიოთ მტერს, ლიკვიდაცია ვუყოთ მის კონტრიერიშებს, გაბედული მანევრით შემოვუაროთ მტრის ფლანგებს, შევიჭრათ ზურგში, გარშემოვურტყათ მტრის ჯარებს, დავაქუცმაცოთ და მოვსპოთ ისინი. სტალინის ეს გენიალური მოძღვრება გახდა კუთვნილება ოფიცრებისა და გენერლებისა, რომელთა ხელმძღვანელობით საბჭოთა მეომრები არაერთხელ გარშემორტყმიდნენ და სპობდნენ მტრის ჯარებს. სამუდამოდ შევა სამხედრო ხელოვნების მსოფლიო არსენალში სტალინგრადის, კურსკის, კორსუნ-შევჩენკოვსკის, ყირიმის და სხვ. ოპერაციები, როგორც ოპერატიულ-ტაქტიკური ოსტატობის კლასიკური ნიმუშები. ახლა მათ ემატება წითელი არმიის ისეთი ბრწყინვალე ოპერაციები, როგორიცაა მტრის დაჯგუფებების გარშემორტყმა აღმოსავლეთ პრუსიაში, ბუდაპეშტში, პოზნანში და ბრესლაუში.

გაითვალისწინა რა ომის თავისებურებანი, თანამედროვე საბრძოლო საშუალებათა და ხერხების თავისებურებანი, ამხანაგმა სტალინმა მისცა წითელ არმიას გენიალური მოძღვრება ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობილებაზე, ბრძოლაში ტანკების სწორად გამოყენებაზე, ავიაციისა და არტილერიის შეტევაზე. ყოველივე ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა ამხანაგ სტალინის ბრძანებებში და სამამულო ომის პერიოდის სტალინურ წესდებებსა და დარიგებებში.

წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობისა და საბრძოლო სულისკვეთების განმტკიცების მიზნით ამხანაგი სტალინი ომის მსვლელობაში ატარებს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა ერთმმართველობის დაწესება, ახალი ორდენებისა და მედლების შემოღება, გვარდიული ნაწილების შექმნა, სამხრეების შემოღება და ა. შ.

შეაიარაღა რა წითელი არმია თანამედროვე სამხედრო მეცნიერებით, ამხანაგმა სტალინმა ის აიყვანა ისეთ დონემდე, რომელიც ახლა განსაზღვრავს მსოფლიო სამხედრო ხელოვნების საერთო განვითარებას.

უაღრესად მრავალფეროვანია დიდი სტალინის მოღვაწეობა. იგი არის სამხედრო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, წარმოადგენს გენიალურ მოაზროვნეს და თეორეტიკოსს, ბოლშევიკების პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბელადს, საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელს, უმაღლეს მთავარსარდალს, თანამედროვე ომის უდიდეს სტრატეგსა და ტაქტიკოსს, წითელი არმიის გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს.

სამშობლოს წინაშე ამხანაგ სტალინის ისტორიული დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი სათავეში ჩაუდგა და ორგანიზაცია უყო ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნას, რომელმაც ჩვენი სამშობლო გახადა მძლავრ და პირველხარისხოვან ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, მოწინავე და ყველაზე მსხვილ სოფლის მეურნეობის ქვეყნად, მოწინავე და ყველაზე მაღალი კულტურისა და ტექნიკის ქვეყნად. ამხანაგმა სტალინმა არნახულად განამტკიცა ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება, აამაღლა ბოლშევიკური პარტიის — საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორის ავტორიტეტი, ძალა და გავლენა, დარაზმა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი სამშობლოს დასაცავად და მტრის გასანადგურებლად.

ბრძნულმა სტალინურმა საგარეო პოლიტიკამ არამცთუ ჩაშალა ფაშისტ მესვეურთა ყველა ცდა მოეწყოთ სსრ კავშირის წინააღმდეგ კოალიცია, არამედ არნახულად განამტკიცა უდიდეს დემოკრატიულ სახელმწიფოთა — ამერიკის შეერთებულ შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის საბრძოლო თანამეგობრობა საერთო მტრის — ჰიტლერულ გერმანიასთან ბრძოლაში. ამხანაგმა სტალინმა არამც თუ არ დაუშვა სსრ კავშირის იზოლაცია, არამედ უზრუნველყო ფაშისტური გერმანიის სრული იზოლაცია. ამხანაგმა სტალინმა ჩამოაყალიბა ანტიჰიტლერული კოალიციის მოქმედების პროგრამა, რის საფუძველზედაც სწარმოებს ყველა თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფოთა შემჭიდროება.

გაერთიანებული ერების ხელმძღვანელთა ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებანი მოწმობენ დიდი დემოკრატიული სახელმწიფოების საბრძოლო ერთობლიობის სულ უფრო და უფრო განმტკიცებას მათს მისწრაფებაში ბოლომდე გაანადგურონ ჰიტლერიზმი და უზრუნველყონ ხანგრძლივი მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.

მტრის ბუნაგზე გადამწყვეტი იერიშის დღეებში, როცა წითელი არმია ბერლინის მისადგომებთან იმყოფება, საბჭოთა ხალხისა და მთელი მოწინავე კაცობრიობის თვალი და ფიქრი მიპყრობილია საყვარელი სტალინისაკენ, უდიდესი მხედართმთავრისაკენ, რომელიც წინ მიუძღვის ყველაზე უფრო მძლავრ და გამოცდილ თანამედროვე არმიას, რომელსაც ბადალი არა ჰყავს ომების მთელ ისტორიაში.

ჩვენ შევედით სამამულო ომის საპასუხისმგებლო პერიოდში — მტრის საბოლოო, სრული განადგურებისათვის, ძნელი ბრძოლების პერიოდში. წითელი არმიის წინაშე სდგას ამოცანა — ბოლო მოუღოს ფაშისტ მხეცს მის საკუთარ ბუნაგში — გერმანიაში და გამარჯვების დროშა აღმართოს ბერლინში. ამ ამოცანის შესრულება მცირე ძალღონესა და მსხვერპლს როდი მოითხოვს. მტერი განწირულის გააფთრებით გვიწევს წინააღმდეგობას. მაგრამ წითელი არმია ჩვენი მოკავშირეთა არმიებთან ერთად ღირსეულად შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას.

ჩვენ გავიმარჯვებთ! ამის საწინდარია ჩვენი უძლეველი წითელი არმია, რომლის სათავეში სდგას საბჭოთა ხალხის ბელადი, გენიალური სტრატეგი და მხედართმთავარი დიდი სტალინი.

პ/მგ. რედაქტორის მაგიერ მ. ტრასაუნოვი
პ/მგ. რედაქტორის მოადგილე მ. დარასელი